პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 იანვარი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 10 (9421) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი

## მე რომ უფროსი მწვრთნელი ვიყო...

ხრისტინა ფალასანიდი საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთაგან პირველია, რომელმაც მედლები მოიპოვა. ეს მოხდა შარშან, თბილისში გამართულ გოგონათა საკავშირო პირველობაზე, სადაც ხრისტინამ ერთეულთა თანრიგში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად შესრულებულ ჯგუფურ ვარჯიშში მოპოვებული ოქროს მედალი მიუმატა. ამის შემდეგ ხრისტინამ საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად დასავლეთ ბერლინში, გოგონათა ევროპის პირველობაზე იასპარეზა. იქიდანაც „ოქრო-ვერცხლით" დაბრუნდა. ერთეულთა თანრიგში მეორე იყო, ჯგუფურ ვარჯიშში კი თანაგუნდელებთან ერთად ყველას აჯობა. მსგავს შეჯიბრებაში ეს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა სპორტსმენის მიერ ერთეულთა თანრიგში მოპოვებული პირველი მედალი იყო. ჩვენი ქვეყნის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ხრისტინა კვლავ საპატიო კვარცხლბეკზე ვიხილეთ — ამჯერად თანაგუნდელებთან ერთად ჯგუფურ ვარჯიშში მოპოვებული ბრინჯაოს მედლით მკერდდამშვენებული. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმზეც პირველმა მან მოიპოვა ასეთი წარმატება, ამ შეჯიბრებაზე გუნდურ პირველობაში დაკავებული მესამე ადგილიც პირველი წარმატება გახლდათ ჩვენი ნაკრებისთვის და ამაში ხრისტინას მიუძღვის დიდი წვლილი.



ახლახან ხრისტინა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად დაასახელეს. საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთაგან პირველს მას ერგო ასეთი პატივი. დიახ, თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი გოგონა ხრისტინა ფალასანიდი აქაც პირველი აღმოჩნდა.

წყვილთა ასპარეზობაში ხრისტინას პარტნიორია ნინო მაისურაძე. ისინი თანაგუნდელებიც არიან და მეგობრებიც. ამიტომ სწორედ ხრისტინას პარტნიორს ვკითხეთ:

● **ნინო, როცა ხრისტინა საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად დაასახელეს, როგორ შეხვდით ამ ცნობას?**

— გავიხარეთ და გულით მივულოცეთ. სხვათა შორის, „სინქრონულად მივულოცეთ". ჩვენ ხომ თანაგუნდელები ვართ. ხრისტინა არა მარტო ჩვენ, საკავშირო ნაკრების წევრებსაც გამორჩეულად უყვართ.

● **გვაინტერესებს თქვენი აზრი ხრისტინაზე, როგორც სპორტსმენზე, — ვეკითხებით საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ნატალია მაშუკს, რომელიც ხრისტინას პირადი მწვრთნელიცაა.**

— ამ შრომისმოყვარე გოგონას და ჭეშმარიტ სპორტსმენს შეუძლია მუდამ საბრძოლველად განეწყოს და შეჯიბრების მთელი მშვენიერება იგრძნოს.

● **ხრისტინა, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი რომ იყო, რას გააკეთებდი?**

— იმას, რასაც ნატალია მაშუკი აკეთებს.

● **უფრო მეტი უფლება რომ მოგცენ?**

— საქართველოს ყველა საცურაო აუზს, რომელიც უქმად ცდება, ავამოქმედებდი და იქ სინქრონულ ცურვასაც დავნერგავდი. სპორტის ეს სახეობა ხომ ასე ლამაზი და მშვენიერია.

საუბარი ჩაიწერა
**ავთანდილ ჭუჭუნაშვილმა.**

ავტორის ფოტო.

ჰასტინგსის ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი

## მაია ჩიბურდანიძის ახალი შემოქმედებითი წარმატება

სამი გამარჯვება, ცხრა ყაიმი და ერთი დამარცხება... ვფიქრობთ, ეს საკმაო წარმატებად უნდა ჩაითვალოს ვაჟებთან მოჭადრაკე მოჭადრაკე ქალისთვის. მაია ჩიბურდანიძემ ჰასტინგსის (ინგლისი) დიდ ტრადიციული ტურნირის ბოლო ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ერევნელ დიდოსტატ სმბატ ლპუტიანთან, 7,5 ქულა მოაგროვა და V-VI ადგილები გაიყო ინგლისელ ჯონათან მესტელთან, რომელმაც, ამ ტურში თანამემამულე პიტერ ლარჯი დაამარცხა. მაია მხოლოდ 0,5 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულებს.

თუმცა, ტექნიკური შედეგები ერთია და თამაშის შემოქმედებითი მხარე — სულ სხვა. აი, სწორედ ამ კომპონენტით მოხიბლა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ინგლისელი გულშემატკივრები და ჭადრაკის სპეციალისტები. მის პარტიებს ჯიმი პლასკეტთან, სტიუარტ კონკუესტთან და სხვა მეტოქეებთან მაღალი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ.

ბოლო, XIII ტურში მიურეი ჩანდლერმა მოუგო ჯულიან ჰოჯსონს (ორივე — ინგლისი). ანდრაშ ადორიანი (უნგრეთი) და ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ბენტ ლარსენი (დანია) და ედუარდ გუფელდი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 8-8 ქულით I-IV ადგილები გაიყვეს სპილმენმა, ჩანდლერმა, ლარსენმა და ლპუტიანმა. გუფელდს 7 ქულა აქვს.

SOS



დაგვეთანხმებით, საცხოვრებელ მასივებში სულ პატარა სპორტული მოედანიც კი ძვირფასი საჩუქარია ბავშვებისთვის. ამ ერთი წლის წინათ ასეთი საჩუქარი, კეთილმოწყობილი ჩოგბურთის მოედანი, საზეიმო ვითარებაში ჩააბარეს ვაზისუბნის ერთ-ერთი მიკრორაიონის მოზარდებს. სამწუხაროდ, ნორჩების სიხარული ხანმოკლე გამოდგა...

იხ. მე-2 გვ.

მიეძღვნა საქართველოს პროფკავშირების ყრილობას

სამბო

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკურმა საბჭომ მოსწავლეთა არდადეგების დღეებში მოაწყო რესპუბლიკური შეჯიბრება სამბოში 1969-70 წლებში დაბადებულთა შორის. ასპარეზობა მიეძღვნა საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობას.

ასპარეზობას კასპმა უმასპინძლა. სარბიელზე გამოვიდა ტყიბულის, დუშეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, მცხეთის, წითელწყაროს, კასპის, ცხინვალის, ახმეტისა და ბორჯომის ნაკრები გუნდების 157 ნორჩი მოჭიდავე.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა მასპინძელთა ნაკრებმა (335 ქულა), გამარჯვებულებს ხუთი ქულით ჩამორჩნენ საგარეჯოელი მოჭიდავეები. მესამე ადგილზე ახმეტის გუნდი გავიდა (220).

შეჯიბრებაში 9 მოჭიდავემ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი, პირველი თანრიგი მოზრდილთა შორის 12-მა, ხოლო 18-მა ჭაბუკთა I თანრიგი.

ასპარეზობის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი დაისაკუთრა საგარეჯოელმა გიორგი მამისაშვილმა.

**იური გალდავა,**
სპორტის ოსტატი.

ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

## პრესინგმა გაამართლა

ეს დღე კალათბურთის მოყვარულთათვის განსხვავებული ემოციების დღე იყო. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალურ ტურნირში მოთამაშე ცსკა-მ თავისი გულშემატკივრები გაახარა, ლენინგრადის „სპარტაკმა" კი აშკარად გაუწბილა იმედები. კორაჩის თასის გათამაშებაში ნევისპირელები შინ საფრანგეთის „ლიმოჟის" კალათბურთელებმა დაამარცხეს.

ჯერ რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულებზე, მით უფრო, რომ მათ ამ ტურნირში უკვე მეოთხე შეხვედრა მოიგეს. ცსკა-ს მეტოქე ამჯერად ჩეხოსლოვაკიის „ოსტრავა" იყო, გუნდი, რომელიც მოსკოვის არმიელებს უკვე დამარცხებული ჰყავდათ, თანაც 19 ქულით. ასე რომ, ცსკა-ს გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა.

თამაში მოსკოველებმა პრესინგით დაიწყეს და ამ ტაქტიკური ხერხისთვის მთელი მატჩის განმავლობაში არ უღალატნიათ. მართალია, პრესინგი მუდამ ეფექტური არ იყო, მაგრამ მან უპირატესობა ჩვენს კალათბურთელებს პირველსავე ტაიმში მოუტანა — 50:39.

შესვენების შემდეგ მასპინძლების უპირატესობა კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა — 103:77. განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდა ამ



დღეს ენდენი, რომელმაც თავის კლუბს 18 ქულა შესძინა.

დედაქალაქის არმიელებს ჩასატარებელი დარჩათ ორი შეხვედრა და ორივე მეტოქის მოედანზე — საფრანგეთის „ვილერბანთან" და ესპანეთის „ხუვენტუდთან". ნახევარფინალის მონაწილენი ამ შეხვედრების შემდეგ გამოვლინდებიან.

მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში ჯერჯერობით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი ზაგრების „ციბონაა" დაწინაურებული.

ლენინგრადში, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი „სპარტაკი" საფრანგეთის „ლიმოჟს" მასპინძლობდა. სტუმრებმა პირველი ნახევარი 6 ქულის უპირატესობით (39:33) მოიგეს. ინიციატივა მათ მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს და მეტოქე დაამარცხეს — 84:71.

„სპარტაკში" ყველაზე აქტიური გრიშაევი იყო — 26 ქულა, „ლიმოჟში" კი — პაულ ტომპსონი — 22.



## 17 იანვრიდან ისევ ცირკში...

შაბათს თბილისის ცირკში განახლდება სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გაგაცნობთ II წრის შეხვედრათა კალენდარს.

**17 იანვარი.** წილკანი (მცხეთა)— ვაყა (ხაშური); გიორგიწმინდა (საგარეჯო) — თემქა (თბილისი).

**24 იანვარი.** ხოვლე (კასპი) — ძველი რუსთავი; სანიორე (თელავი) — გლდანი (თბილისი).

**31 იანვარი.** ციხისუბანი (გორი) — საფიჩხია (ქუთაისი); ქისტაური (ახმეტა) — ორთაჭალა (თბილისი).

**7 თებერვალი.** ხვედურეთი (ქარელი) — მარტყოფი (გარდაბანი); ბაზალეთი (დუშეთი) — დიღომი (თბილისი).

## „ფიფქია" და... 100 ჩოგბურთელი

ასეთი ტურნირი, სახელწოდებით „ფიფქია", პირველად ამ ორი წლის წინ გამართეს თბილისის განათლების სამმართველომ და ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპეციალიზებულმა სკოლამ.

წლეულს ამ შეჯიბრებაში, რომელიც „დინამოს" კორტებზე და ჩოგბურთის სასახლეში ჩატარდა, 100-მდე ნორჩი ჩოგბურთელი მონაწილეობდა — „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის" და ჩოგბურთის სპეციალიზებული სკოლის წარმომადგენლები ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ პირველობისთვის.

1976-1977 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის პირველი, მეორე და მესამე ადგილი ინა არუთინოვამ, ნინო ნუბაროვამ და ალიონა დაროვსკაიამ დაიკავეს (ოლიმპიური რეზერვის სკოლა). ბიჭებს შორისაც ამ სკოლის წარმომადგენელმა გიორგი კელაურიძემ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე დინამოელი იოსებ სიამაშვილი გავიდა, მესამეზე — სპარტაკელი ვლადიმერ მარგალიტაძე.

1974-1975 წლებში დაბადებულ გოგონათა შეჯიბრებაში ოლიმპიური რეზერვის სკოლის წარმომადგენელმა თამრიკო ბერიძემ იმარჯვა, მან ფინალში თანაგუნდელი მაია აბაშიძე დაამარცხა. სპარტაკელი ლიანა ქელეხსაევა მესამე ადგილზე გავიდა. ჭაბუკებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მიხეილ მღებროვი („განთიადი"), 2. პავლე მიდელაშვილი, 3. დავით ოძელაშვილი (ორივე — „დინამო").

ტურნირს კარგად გაუძღვა მსაჯთა კოლეგია საკავშირო კატეგორიის მსაჯის მარლენ ქობალიას ხელმძღვანელობით.

**არტემ მალაიანცი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

### შეხვედრა კომენტატორთან

თბილისის ჟურნალისტის სახლმა შეხვედრა მოუწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ცნობილ სპორტულ ტელეკომენტატორს კოტე მახარაძეს.

შეხვედრა გახსნა ჟურნალისტის სახლის დირექტორმა ზ. რცხილაძემ.

კოტე მახარაძე შეკრებილთ ესაუბრა მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებზე, ამ ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრების, აგრეთვე საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" გამოსვლის შესახებ. შემდეგ კ. მახარაძემ უპასუხა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

**მზია მეგალიშვილი.**

# სპორტის სპეციალისტთა სამჭედლო გარდაქმნის გზაზე

**ამას წინათ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩატარდა პარტიული კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს მოადგილემ ნუგზარ გუმბარიძემ. კრებას დაესწრო საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე.**

**რა ითქვა კომუნისტთა თათბირზე? ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ინსტიტუტის პრორექტორს, დოცენტ რევაზ კერესელიძეს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.**

● **შარშან, დეკემბერში, გაიმართა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მუშაკთა რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ბევრ საჭირბოროტო საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, მათ წარმოაჩინეს საკადრო მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. ითქვა, რომ კადრების მომზადების ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში მომწიფდა ბევრი სერიოზული პრობლემა, რომელთა ანარეკლი თავს იჩენს ეკონომიკაშიც და სოციალურ სფეროშიც. ბატონო რევაზ, რამდენად ეხება ყოველივე ზემოთქმული თქვენს ინსტიტუტს?**

— როგორც აქტივის კრებაზე ითქვა, უმაღლეს სკოლას მარტო კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება კი არა, ნამდვილი მოქალაქის აღზრდაც ევალება. უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული უნდა იყოს აქტიური პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანი. ამიტომ საჭიროა გადავხედოთ ჩვენს საქმიანობას, კონკრეტულ საკითხებს, პრობლემებს, ქმედითი ღონისძიებები გავატაროთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ასამაღლებლად. დღემდე ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილება ნაწილობრივ ინდივიდუალურ განაცხადთა საფუძველზე ხდებოდა, რაც დაუშვებელია. განაწილება მხოლოდ გეგმიური ადგილების მიხედვით უნდა წარმოებდეს.

რაც შეეხება სპეციალისტთა ადგილზე დამაგრებას, ამ მიმართულებით უკანასკნელი სამი წელიწადია ინსტიტუტში გეგმიური მუშაობა მიმდინარეობს. ყველა კურსდამთავრებულზე გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი, რომელიც კათედრის წამყვან პედაგოგს აბარია. პედაგოგი სამი წლის მანძილზე თვალ-ყურს ადევნებს კურსდამთავრებულს და მასთან დამყარებული კავშირის მეშვეობით საჭირო ცნობებით ამდიდრებს ბარათს.

ალბათ საინტერესო იქნება ასეთი სტატისტიკაც: 1984 წელს სამუშაოზე განაწილებული 198 ახალგაზრდიდან 91 გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, 59 განათლების სისტემაში მუშაობს, 21 — სპორტულ ორგანიზაციებში, 5 — სხვადასხვა ადგილას. 1985 წელს ასეთი მაჩვენებელია: შესაბამისად—217, 105, 54, 20, 16. სამმა კურსდამთავრებულმა მოსკოვს მიაშურა და ასპირანტურაში განაგრძო სწავლა. შარშან ასეთი მდგომარეობა იყო: 113 ახალგაზრდიდან 64-მა განათლების სისტემაში დაიწყო მუშაობა, 38-მა — სპორტულ ორგანიზაციებში, 11-მა — სხვადასხვა ადგილას. საბჭოთა არმიის რიგებში ექვსი ახალგაზრდა გაიწვიეს.

სასწავლებელში სამი პროფილია, სტუდენტებს ემსახურება 19 კათედრა და 3 ფაკულტეტი.

● **სასწავლო პროცესის ხარისხზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე რას გვეტყვით?**

— მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი თითქოს მოვაგვარეთ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ყველა აუდიტორია არ არის სათანადოდ აღჭურვილი და მოვლილი, გვაკლია ტექნიკური საშუალებები, რაც გვაქვს, ზოგჯერ იმასაც ვერ ვიყენებთ მთლიანად.



ახლო მომავალში მწყობრში ჩადგება სამსართულიანი კორპუსი, კეთილმოწყობილი საცურაო აუზი, ნიჩბოსანთა სავარჯიშო აუზი, რეკონსტრუირებული სტადიონი, ბაკურიანის 170-ადგილიანი სასწავლო ფილიალი.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ჯერ კიდევ ბევრი ლექცია ცდება არასაპატიო მიზეზით. ამას თუ დავუმატებთ ჩვენი ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე გაცდენებს (შეჯიბრებები, შეკრებები), სურათი უფრო ჩამუქდება.

კათედრები ინტენსიურად მუშაობენ სწავლების მეთოდებისა და ფორმების განახლება-სრულყოფაზე. 1985 წლიდან I-II კურსებზე დავიწყეთ ეგრეთ წოდებული გაცნობითი პრაქტიკა. გარდა ამისა სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან მომავალი სამუშაო პროფილის მიხედვით (პედაგოგი, ორგანიზატორი, მწვრთნელი). ამ ფორმებს თანდათან სრულვყოფთ. წარმოებასთან კავშირის განმტკიცების მიზნით, მიმდინარე სასწავლო წლიდან სტუდენტებს III კურსიდან ვგზავნით მომავალ სამუშაო ობიექტებზე. თავისუფალ დროს, ესე იგი, დღის მეორე ნახევარში, უკვე 9 ტანმოვარჯიშე და 5 მოცურავე მუშაობს. ახლო მომავალში მათ კიდევ 10 ტანმოვარჯიშე და 4 მოცურავე მიემატება.

ჩვენთან ფაქტიურად ყველა სტუდენტი სპორტსმენია. მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, კერძოდ 240 სტუდენტი, რომლებიც როგორც რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის ღირსებას სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში იცავენ. ამ სტუდენტებს დიდი ჯაფა ადგათ — დღეში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერ ვარჯიშობენ, ხშირად მიემგზავრებიან შეკრებებსა და შეჯიბრებებზე და ამიტომ ბევრი სწავლაში საგრძნობლად ჩამორჩება სხვებს. წინათ ეს სპორტსმენები იოლად გადიოდნენ ფონს, დავალიანებები ჰქონდათ, მაგრამ კურსიდან კურსზე მაინც გადადიოდნენ, რაც მათ სწავლის სურვილს უკარგავდა. დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს 1986 წლის 22 სექტემბრის ბრძანების თანახმად, დავალიანებების მქონე სტუდენტები კურსზე რჩებიან. სულ ახლახან მიღებული დირექტივა კი უფლებას გვაძლევს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენ-სტუდენტებს (საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრებს) სწავლების ვადა ექვს წლამდე გავუხანგრძლივოთ. კარგი იქნება, თუ ეს წესი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებზეც გავრცელდება.

სესიების ჩატარების ახალი წესი ერთ-ერთია იმ სიახლეთა შორის, რომლებიც უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიზნით დაისახა. განათლების სამინისტროს დავალებით შემოვიღეთ სასესიო გამოცდების წერითი ფორმა. გადაისინჯა საგამოცდო ბილეთები, დაიხვეწა საკითხები, მაგალითად, ბევრი მეორეხარისხოვანი საკითხი პროგრამიდან ამოვიღეთ და წინ საკვანძო საკითხები წამოვწიეთ.

ზოგიერთ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლიდან ახლებური წესით ჩატარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკები. უფრო ფართოდ და მიზანდასახულად დაიგეგმება სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობა პედაგოგის მეთვალყურეობით. ეს ახალი ფორმაა და მის დასამკვიდრებლად საგანგებოდ უნდა მოვემზადოთ.

● **დღეს სპორტი და მეცნიერება მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს...**

— დიახ, ბოლო ხანებში ჩვენთან მკვეთრად გაიზარდა სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა რიცხვი. წელს აღდგენილი ასპირანტურიდან მათ კიდევ რამდენიმე კაცი მიემატება. ერთი ასპირანტი უკვე გვყავს — ჩვენი კურსდამთავრებული, უნგრეთის მოქალაქე ადილა ვიგხი პროფესორ ვასილ ელაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს.

ინსტიტუტში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოცენტი დურმიშხან ჩიტაშვილი გახლავთ. ამ ლაბორატორიაში დღეისთვის გაერთიანებული 15 სტუდენტიდან ბევრი ალბათ ასპირანტი გახდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგრძნობლად გააქტიურა მუშაობა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ, რომელსაც ალექსანდრე ფანცხავა უძღვება. შედგენილია პერსპექტიულ მეცნიერ-მუშაკთა სია და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა. ამ გაზაფხულზე გათვალისწინებულია საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების ჩაბარება, ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი საინსტიტუტო კონფერენციის ჩატარება...

შარშან, ნოემბერში, ინსტიტუტში სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტივი შეხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამედიცინო ხელსაწყოთმშენებლობის კათედრისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს. შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს შექმნან სტუდენტთა ერთობლივი საკონსტრუქტორო-კვლევითი ლაბორატორია.

შარშან ინსტიტუტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ალმა-ათასა (ფიზაღზრდის თეორიის სპეციალობით) და ბაქოში (ფიზიოლოგიის სპეციალობით) გამართულ სტუდენტურ ოლიმპიადებში. სამწუხაროდ, ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა საკავშირო ოლიმპიადაზე 1985 წელთან შედარებით წარმატებით ვერ იასპარეზეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაბამის კათედრებზე მუშაობა შესუსტდა.

ინსტიტუტი მუშაობს ხუთ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით თემაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტს დავალებული აქვს ორი საკავშირო ნაკრები გუნდის (ციგაობასა და ტყვიის სროლაში) სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა, რაც ძალზე საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა.

## SOS

# ჯერ იზეიმეს, მერე...

გუშინ დილიდანვე განუწყვეტლივ გვირეკავდნენ რედაქციაში, ზოგმა პირდაპირ სტუმრობა არჩია. ყველა მათგანი წინდაწინ იწყებდა ბოდიშს, გვაპატიეთ, ვიდრე წერილს მიიღებთ, იმ სპორტული მოედნიდან, რომლის თაობაზეც გაწუხებთ, ალბათ საერთოდ აღარაფერი დარჩებაო. სხვა გზა აღარ იყო, დაუყოვნებლივ გავგზავნეთ „შემთხვევის ადგილზე" რედაქციის წარმომადგენელი. ფაქტი დადასტურდა, კორესპონდენტმა ფოტოფირზეც აღბეჭდა ის, რისი განადგურებაც უკვე მოასწრეს.

დიახ, „ბევრი რამ ხდება ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ". და აი, გუშინწინ ხალამოს ვაზისუბნის დასახლების მე-4 მიკრორაიონის I კვარტალის მცხოვრებლებმაც „კოლექტიურად" იხილეს ცხადში ისეთი სურათი, ვერავითარი სიზმრის სიუჟეტი და ფაბულა რომ ვერ შეედრება: არც მეტი, არც ნაკლები, ამდგარან მშენებლები და მათი ნაჭები ჩოგბურთის კორტების ნგრევასა და აოხრებას ისე შესდგომიან, ვითომც აქ არაფერიო; ვითომც ამ სპორტული მოედნის ასაშენებლად სულ ცოტა ხნის წინ კაპიკი არავის დაეხარჯოს, შრომა და ამაგი არ გაეწიოს.

არადა, ყურში ახლაც ჩაესმით დასახლების მცხოვრებთ სულ რაღაც ერთი წლის წინათ მუსიკის გრიალში როგორი ტაშ-ფუხილით გაიხსნა საზეიმოდ ეს სპორტული მოედანი — უეზოობით შეწუხებული ყმაწვილების ნუგეში და თავშესაყარი. მერედა, რა სიტყვები ითქვა, რა იმედებს ამყარებდნენ უფროსები ამ კორტებზე. ჩვენ ჩვენი ვქენითო, — მიმართავდნენ ახალგაზრდებს — ახლა თქვენ იცით და თქვენმა სიყოჩაღემო.

მაინც რა მოხდა ამ ერთ წელიწადში? ვითომ რა ეწყინათ ასეთი იმ „უფროსებს" — რამდენიმე თვეში ეს გოგობიჭები დევისის თასს რომ ვერ მოიპოვებდნენ, განა თავიდანვე არ იცოდნენ?

თუ მოედანი საჭირო არ იყო, რატომ აშენებდნენ და, თუ ააშენეს, ახლა რაღას ერჩიან, ვითომ ახალი საცხოვრებელი კორპუსის აგება ცოტა მოშორებით, ამ ტრიალ მინდორზე სხვაგან არ შეიძლება? უკიდურეს შემთხვევაში, ვაზისუბნელები იქვე მეზობელ ავტოსადგომს უფრო გაიმეტებდნენ, თუკი ასეთი არჩევანი აუცილებელი იყო. მაგრამ, ვაი რომ სპორტული მოედნის გაწირვა გაცილებით უფრო გაუიოლდათ.

ვიმეორებთ, რედაქციაში განუწყვეტლივ გვირეკავენ და მოდიან დასახლების მცხოვრებლები, დახმარებას გვთხოვენ. რა ვუპასუხოთ მოსახლეობას? სასწრაფოდ ველით პასუხს 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომისგან.



„აჩეხილი" ლობე.



ასე გამოიყურებოდა მოედანი გუშინ.

ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს

# სკოლა-ინტერნატების სპარტაკიადა

**რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა IX რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავს.**

სპარტაკიადის მონაწილენი ორ ჯგუფად გაიყვნენ. შეჯიბრების პროგრამაშია სპორტის 6 სახეობა (ჭადრაკი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი). I ჯგუფში ასპარეზობდნენ საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, ხოლო II ჯგუფში — რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები.

ზამთრის არდადეგების დღეებში ქუთაისში ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა. საშუალო სკოლა-ინტერნატებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის გუნდმა, მეორე იყო თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის გუნდი, მესამე ადგილზე ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის ნაკრები გავიდა.

რვაწლიან სკოლა-ინტერნატებს შორის პირველი იყო ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლა-ინტერნატის გუნდი, მეორე ადგილზე ბაბუშერელები გავიდნენ, მესამეზე — ლანჩხუთელები.

მოჭადრაკეები ბათუმში შეიკრიბნენ.

საშუალო სკოლა-ინტერნატებიდან უძლიერესი იყო თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის გუნდი, მომდევნო ადგილები ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლისა და ახალციხის სკოლა-ინტერნატის გუნდებმა დაიკავეს.

რვაწლიან სკოლა-ინტერნატებს შორის საპრიზო ადგილები გაინაწილეს ლანჩხუთის, ლაგოდეხისა და მახარაძის გუნდებმა.

**ზურაბ დარჩია,**
**განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტსკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.**

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### სამტრედია

„ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ფრენბურთში ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქის № 2, ქალაქის № 4, დაბლაგომის, ოფეთის, დაფნარისა და ჰაგნის რვაწლიანი სკოლების ნაკრები გუნდები.

პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის მეოთხე რვაწლიანი სკოლის ნაკრებმა, II და III ადგილებზე შესაბამისად ოფეთისა და დაფნარის რვაწლიანი სკოლების გუნდები გავიდნენ.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

### ზესტაფონი

**11 უძლიერესი მოჭადრაკე ჩაება რაიონულ პირველობაში. გაიმარჯვა ქალაქის ჭადრაკისა და შაშის კლუბის დირექტორმა ჯემალ მახათაძემ. II ადგილზე გავიდა სახალხო განათლების რაიონული განყოფილების კინომექანიკოსი გოგი ჭანტურიძე, მესამეზე — სამშენებლო სამმართველო „გორემ-24"-ის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი თემურ დეკანოსიძე.**

**პეტრე ნებიერიძე.**

### წითელწყარო

კომკავშირის წითელწყაროს რაიკომის გარდამავალი თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში ტრადიციად იქცა. ახლახან გამართული შეჯიბრება, რომელშიც სოფლების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, ზემოქედელი მოჭიდავეების გამარჯვებით დამთავრდა. მათ ცხრიდან შვიდ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს და გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასიც დაისაკუთრეს. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ქვემო ქედის და სოფელ ჯაფარიძის მოჭიდავეები გავიდნენ.

**საკ. კორ.**

# ვ. გრანატკინის მემორიალი

**დასასრულს** მიუახლოვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. გრანატკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, 13 იანვარს გაიმართა ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი.

საფრანგეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:2 მოუგეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა დაამარცხა შვეციის გუნდი — 4:0.

ბოლო ტურის წინ, რომელიც დღეს გაიმართება, ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი-I | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 5 |
| სსრ კავშირი-II | 4 | 2 | 0 | 2 | 8-8 | 4 |
| გდრ | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 2 |
| შვეცია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-15 | 2 |

### ბილეთები 1 აპრილიდან გაიყიდება

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პირველობა ფეხბურთში 1988 წლის ზაფხულში უნდა ჩატარდეს, ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთები 1987 წლის 1 აპრილიდან გაიყიდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს უეფა-მ და ტურნირის მასპინძელი ქვეყნის, გფრ-ის ფეხბურთის კავშირმა.

### ჰოვანეცი, მიკლოშკო...

პრაღის პოპულარული ჟურნალის „სტადიონის" ანკეტის თანახმად ჩეხოსლოვაკიის № 1 ფეხბურთელად 1986 წლის სეზონის მიხედვით აღიარეს პრაღის „სპარტის" 26 წლის ნახევარმცველი და კაპიტანი ჰოვანეცი. მან 501 ხმა მიიღო. 481 ხმით მეორეა ოსტრავის „ბანიკისა" და ეროვნული ნაკრების მეკარე მიკლოშკო.

### ელვა-ინფორმაცია

**პადრაკი. ჩელიაბინსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი გოგონათა შორის. მეორე ადგილი და უმცროს ასაკში ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა 13 წლის სოფიკო ნიკოლაძემ.**

**ცნობილი** ქართველი პუბლიცისტი, მწერალი და კრიტიკოსი, თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა: „არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც, ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ ვარჯიშობას და თამაშობას..."

კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელს იოანე შავთელს „აბდულმესიანში" ნათქვამი აქვს:

„თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი? —
გალავანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
იპოდრომისა განხმულობანი"...

შინაარსს რომ თავი დავანებოთ. ჩვენს წინაპარს უკვე XII საუკუნეში სცოდნია იპოდრომის მნიშვნელობა, რომელსაც საბა, ზაგალითად, ასე განმარტავს: „ბერძნული სიტყვაა და ცხენთ სარბიელს ნიშნავს".

ძველი ქართული თამაშებისა და ვარჯიშების სახით უცხოეთიდან შემოსულ სპორტის სახეობებს ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა, თუმცა უცხოური მოდის დამკვიდრებას მოწინააღმდეგენიც ბევრი ჰყავდა.

იგივე გერონტი ქიქოძე წერდა: „ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ სესხება არ გვესაჭიროება, ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომლებიც დავიწყებული არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზეს და სიჯანსაღეს დაუბრუნებს..."

ბრძნული აზრია. წარსულის მოვლა-პატრონობა ერის უპირველესი ვალია, მაგრამ ისიც სწორია, რომ ყოველი ერის საგანძური მეზობელ ერებთან ურთიერთობით მდიდრდება. უცხოეთიდან შემოჭრილ ნაკადს, იმას, რაც მისაღებია, იგი ღებულობს. ის, რომ ჩვენში პოპულარული გახდა ტანვარჯიში და ველოსპორტი დიახ, დროის მოთხოვნებმა განაპირობა.

XIX და XX საუკუნის მიჯნაზე საქართველოში გიმნასტიკის (ასე ეწოდებოდა მაშინ ყველაფერს, რაც ტანვარჯიშთან იყო დაკავშირებული) პირველი გამავრცელებლები ჩეხი პედაგოგები იყვნენ. ისინი მეტწილად გიმნაზიებში მოღვაწეობდნენ, აწყობდნენ საჩვენებელ გამოსვლებს, შეხვედრებს, შეჯიბრებებს...

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულ წლებში [illegible] დი მთავრის, ამჟამად კამოს ქუჩაზე...

ფიზიკური კულტურა და სპორტი—ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში იდგა მუდამ. მისი ფასი, სხვათა შორის, ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ. რევოლუციის შემდეგ ფიზიკური კულტურა და სპორტი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იკრებდა ძალებს, იძენდა მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ყალიბდებოდა როგორც ერთიანი და მტკიცე სისტემა.

# წარსულის მოვლა-პატრონობისათვის

მაგრამ რევოლუციამდელ საქართველოში სპორტით მხოლოდ ერთეულები იყვნენ გატაცებულნი და ამიტომ მას აკლდა მასობრიობა, საყოველთაობა, ის, ურომლისოდაც დღევანდელი სპორტი წარმოუდგენელია.

რევოლუციამდელ საქართველოში, კერძოდ თბილისში, სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა ჭიდაობა გახლდათ. არც ერთი დღეობა, ლხინი, თავშეყრა სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის გარეშე არ ტარდებოდა. თბილისში ბევრი საჭიდაო წრე და სეზონური ცირკი იყო, სადაც მკლავისა და მუხლის ძალას ცნობილი ფალავნები ცდიდნენ.

ველოსპორტი! ესეც რევოლუციამდელი თბილისის ერთ-ერთი გატაცება იყო. ტრეკი ჩვენს ქალაქში

სამწუხაროდ, მასალების შეკრება ქართული სპორტის ისტორიაზე, განსაკუთრებით რევოლუციის შემდგომ პირველ პერიოდზე მეტად ძნელი აღმოჩნდა. ამიტომაც ყველა მკითხველს, სპორტის მოყვარულს უმორჩილესად ვთხოვთ დაგვეხმაროს, როგორც შეუძლიათ. რედაქცია მადლობის გრძნობით მიიღებს ფოტოსურათებს, დოკუმენტებს, მოგონებებს, პუბლიკაციებს, რომლებსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით წლის განმავლობაში პერიოდულად მივაწვდით მკითხველებს. სპორტის ისტორიის სრული და ამომწურავი ასახვის პრეტენზია, ცხადია, არ გვექნება. ჩვენ, უბრალოდ, გამოვყოფთ ამ ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღებს და მათ შეძლებისდაგვარად იმდროინდელი ფოტო დოკუმენტებით გავამდიდრებთ.

# რენძიუ—პრაქტიკული გაკვეთილი

მაშ ასე, რაში მდგომარეობს შაში რენძიუს მოთამაშეთა საბოლოო მიზანი? ორივე მოთამაშე ცდილობს ხაზების გადაკვეთის ადგილზე ააგოს 5 კოჭისაგან შემდგარი ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად, ან დიაგონალურად მიმართული უწყვეტი მწკრივი (როგორც ეს დიაგრამაზეა ნაჩვენები).

თამაშს იწყებენ შავები H 8 უჯრაზე, ე. ი. ცენტრში. შავების, როგორც დამწყების ამ უპირატესობის გასაბათილებლად შემოღებულია ამკრძალავი სვლები — ფოლები.

თეთრებს, როგორც სუსტ მხარეს, უფლება აქვთ 6 და უფრო მეტი კოჭისგან ააგონ გრძელი მწკრივი და პარტია მოიგონ, ხოლო შავებს ეს ეკრძალებათ არა მარტო მოგებისათვის, არამედ დაცვის მიზნითაც. ამ წესის დარღვევისათვის, როგორც ეს ნაჩვენებია დიაგრამის (ა) პუნქტში, შავები წაგებულად ითვლებიან.

„ხუთეულები" ე. ი. ზუსტად 5 ქვისაგან შემდგარი უწყვეტი მწკრივი ჩნდება ქიშისაგან — „ოთხეულებისაგან". 4 ქვისაგან შემდგარი მწკრივი ერთი ქვის მიმატებით გადაიქცევა „ხუთეულად", ოთხეულები კი ჩნდებიან ნახევარქიშისაგან — „სამეულებისაგან" (ე. ი. 3 ქვისაგან შემდგარი უწყვეტი მწკრივი, რომელიც შემდეგ არაამკრძალავი სვლით გადადის ღია ქიშში). ღია ქიში ეს არის 4 ქვისაგან შემდგარი უწყვეტი მწკრივი (ოთხეული), რომელიც მის ნებისმიერ მხარეს ერთი ქვის დადებით გადადის ხუთეულში. სამეულები ორი სახისაა: ერთიანი (გ) და ინტერვალით (დ), ცხადია, თამაშის დროს მოწინააღმდეგის მიერ შედგენილი როგორც ქიში, ისე ნახევარქიში ადვილად შეიძლება დაიხუროს. სულ სხვა საქმეა, როდესაც მოთამაშე ერთი სვლით აკეთებს ორ ან მეტ „ოთხეულებს", „სამეულებს" ან ერთსაც და მეორესაც ერთდროულად. ასეთ სვლებს ეწოდება „ჩანგალი". ამათგან შავებს მხოლოდ ერთი 4X3 (ე) სვლის გაკეთების უფლება აქვთ (ე. ი. ქვა, რომელიც დაიდება (ე) პუნქტში, ერთდროულად ქმნის ერთ „ოთხეულს" და ერთ „სამეულს" —ქიში-ნახევარქიში. ხოლო სხვა დანარჩენი 4X4 (ვ), 3X3 (ზ) 3X3X4 (თ),.. ისჯება ფოლით, როგორც ნებაყოფლობითი, ისე მოწინააღმდეგის ფანდის საპასუხო იძულებითი სვლების დროს. თეთრებს უფლება აქვთ როგორც „ჩანგლებით", ისე პროვოცირებული სვლებით გამარჯვებამდე მიიყვანონ პარტია, მაგალითად, აიძულონ შავები ითამაშონ ა, ვ, ზ, თ, პუნქტებში. მაგრამ არის მდგომარეობები, როცა თითქოს ადგილი აქვს 3X3-ს, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. (ი) პუნქტში დადებული ქვა, ვერტიკალზე შეიძლება გადავიდეს მხოლოდ გრძელ (ე. ი. 6 კოჭისაგან შემდგარ) მწკრივში. არც (კ) პუნქტში დადებული ქვა არ წარმოადგენს 3X3-ს, რადგან დიაგონალური სამეული (ლ) პუნქტში გვაძლევს ფოლს 4X4, თუ „ხუთიანის" შედგენა მოხდა (მ) პუნქტში, მაშინ შავებს გამარჯვება მიეკუთვნებათ. ამ დროს სხვა „ჩანგლები" და სხვა გრძელი მწკრივები მხედველობაში არ მიიღება. თუ თეთრებმა ვერ შეამჩნიეს შავების „ფოლი" და ითამაშეს, მაშინ შავები არ დაისჯებიან. თუ მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ მოგება არც ერთ მხარეს არ შეუძლია, ისინი ყაიმზე თანხმდებიან. როგორც წესი, ერთი ფერის 60 ქვა საკმარისია მოგებისათვის. თუ ტურნირი წრიულად ტარდება, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ორჯერ ხვდებიან სხვადასხვა ფერის ქვებით.



**სანდრო ჯორბენაძე,**
**მეორეთანრიგოსანი შაშ-რენძიუში.**

# ველოსპორტი ახალ სეზონში

**ბრიუსელში** გაიმართა მოყვარულ (ფიაკ) და პროფესიონალ (ფისპ) ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციების და მათი გამაერთიანებელი საერთაშორისო კავშირის (უსი) ხელმძღვანელი ორგანოების სხდომა და კონგრესი, რომელმაც მოისმინა ფედერაციის ანგარიში და დაამტკიცა 1987 წლის შეჯიბრებების ბიუჯეტი და კალენდარი. კონგრესს ესწრებოდა უსი-სა და ფიაკ-ის ტექნიკური კომისიის წევრი მირონ ბარამია, რომელმაც თქვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები.



**● რა შეჯიბრებების ჩატარებაა განზრახული წლეულს?**

— საერთაშორისო შეჯიბრებების მხრივ წლევანდელი სპორტული სეზონი სარეკორდო იქნება. გზატკეცილზე და ტრეკზე რვაასზე მეტი ასპარეზობა მოეწყობა, რომელთაგან ცხრას საბჭოთა კავშირი უმასპინძლებს.

**● ერთი შეჯიბრება, ტრადიციულად, ალბათ თბილისის ველოტრეკზე გაიმართება?**

— რა თქმა უნდა. „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშება მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის თასის პროგრამაშია შეტანილი. თბილისში 6-7 მაისს მსოფლიოს უძლიერესი ველოსიპედისტები სპრინტსა და გიტში იასპარეზებენ.

**● რაიმე ცვლილება ხომ არ მოხდება მსოფლიო ჩემპიონატების რეგლამენტში?**

— ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის წინადადებით, 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამას (ეს შეჯიბრება ავსტრიაში მოეწყობა) დაემატა ქალთა გუნდური რბოლა გზატკეცილზე. გარდა ამისა, იუნიორთა (17-18 წელი) მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად ოქროს მედლებისათვის 16-17 წლის გოგონებიც იბრძოლებენ. ეს შეჯიბრება იტალიაში მოეწყობა.

**● კონგრესზე ახალი კონსტრუქციის ველოსიპედებზე ხომ არ ყოფილა საუბარი?**

— ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა განიხილა აშშ-ის ეროვნული ფედერაციის წინადადება ახალი კონსტრუქციის ველოსიპედების სერიული გამოშვების შესახებ. ამერიკელებს მხარი ინგლისისა და იტალიის დელეგატებმაც დაუჭირეს, მაგრამ საერთაშორისო კავშირმა ჯერჯერობით არ მიიღო ეს წინადადება.

**● რა მიზეზით?**

— საერთაშორისო კავშირს მიაჩნია, რომ ახალი კონსტრუქციის ველოსიპედების შეძენას ჯერჯერობით



ყველა ქვეყანა ვერ შეძლებს და ამის გამო სპორტსმენები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან. ველოსიპედის ტრადიციული ფორმის შენარჩუნების მომხრეთა შორის აღმოჩნდნენ წარსულში ცნობილი პროფესიონალები — ბელგიელი კონსტრუქტორი ედი მერქსი და ფრანგი ბერნარ ინო. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ბრიუსელში ოქროს სამახსოვრო მედალი გადაეცა „ტურ დე ფრანსში" მოპოვებული ხუთი გამარჯვებისთვის.

**● ბრიუსელში, ფიაკ-ის ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომებიც გაიმართა. რა საკითხები განიხილეს მოყვარულებმა?**

— მთავარი ყურადღება ამ სხდომებზე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისა და სეულის ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისზე იყო გამახვილებული. ტექნიკურმა კომისიამ დაიწუნა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ტრასა, რომელიც ქალაქ ბერგამოს ისტორიულ ცენტრს მოიცავს და ერთობ ვიწროა ასეთი მასშტაბის შეჯიბრების ჩასატარებლად.

**● ოლიმპიური ტრასის შესარჩევად თქვენ, ბატონო, სეულშიც იყავით?**

— სეულში ვიყავი უსი-ს პრეზიდენტ ესპანელ ლუის პუიგთან, ფიაკ-ის გენერალურ მდივანთან კარლ ჯულიანისთან, ტექნიკური კომისიის წევრებთან ჟან პიტალიესთან და ჰაინც დიტრიხთან ერთად. მაგრამ ტრასა არ შეგვირჩევია. ორგანიზატორებმა დაგვათვალიერებინეს მათ მიერ შერჩეული ტრასის რამდენიმე ვარიანტი და ჩვენ ერთ-ერთზე შევჩერდით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია.

**● როგორია, თქვენის აზრით, ოლიმპიური ტრეკი სეულში. აკმაყოფილებს თუ არა იგი საერთაშორისო მოთხოვნებს?**

— სეულის ველოდრომმა გამოცდა ჯერ კიდევ შარშან ჩააბარა აზიის ქვეყნების თამაშებზე. მისი სიგრძე 333,3 მეტრია: იგი ისეთივე „რკინის ხითაა" ნაშენები, როგორითაც ჩვენი ველოტრეკი. ეს ნაგებობა ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტებმა ჰერბერტ და რალფ შიურმანებმა (მამა და შვილმა) დააპროექტეს, საფარი დამზადდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და შემდეგ თოთხმეტი კონტეინერით სეულში გაიგზავნა, სადაც იგი ორ კვირაშიააწყვეს. სეულის ტრეკს ჩვენმა კომისიამ მაღალი შეფასება მისცა.

# რეკორდი 30 წლის ასაკში

**იანვრის** პირველ რიცხვებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარდა მძლეოსნური კროსები.

გფრ-ში (ქალაქი ფიურტი) ამ შეჯიბრებას უჩვეულოდ ცივი ამინდები დაესწრო — კროსის დღეს თერმომეტრი მინუს 15 გრადუსს აჩვენებდა. ამის მიუხედავად „ევროპის გარდამავალი თასი" ვაჟთა შორის ირლანდიელმა დევიდ ტეილორმა მოიგო — 10,5 კილომეტრი 37 წუთსა და 24 წამში გაირბინა. ქალთა შორის 6-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი შვეიცარიელი კორნელია ბიურკი იყო — 25.12.

ჯილდოს გარეშე არც მასპინძლები დარჩენილან. იუნიორთა კროსში, რომლის ტრასა 7,5 კილომეტრზე იყო გადაჭიმული, ყველას აჯობა 3000 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონის პატრის ილგის უმცროსმა ძმამ თომასმა. დისტანცია მან 28.47-ში გაირბინა.

დიდი საერთაშორისო კროსი გაიმართა ესპანეთის ჩრდილოეთში, ბასკების ქალაქ ელგოიბარში. ადგილობრივი მაყურებლების მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად ესპანელმა ალეხანდრო გომესმა მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. პირველი ჯილდო კი კენიელმა პოლ კიპკოეჩმა მოიგო — 10-კილომეტრიან დისტანციაზე 29.37 აჩვენა.

ესპანეთში გაიმართა მეორე საერთაშორისო კროსიც, მას ქალაქი სანსებასტიანი მასპინძლობდა. გამარჯვება ამ შეჯიბრებაშიც კენიელ მძლეოსანს ენდრიუ მასაის დარჩა — 30.23.

აშშ-ს მძლეოსანთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. „ფორთოხლის თასი", რომლის მოპოვებისთვის იანვრის პირველ ნახევარში, ტრადიციულად, უძლიერესი მარათონელები იბრძვიან. ეს შეჯიბრება ყოველ წელს ქვეყნის სამხრეთში ქალაქ მაიამიში ტარდება. წლევანდელ გათამაშებაში უძლიერესი ინგლისელი ჯონ ბოისი იყო — 2:23.22.

მძლეოსნობა ახალგაზრდების სპორტია, ამბობენ სპეციალისტები. მაგრამ ზოგჯერ უზუსტობა მათაც მოსდით. ამ დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეკორდი ბირთვის კვრაში (დარბაზებისთვის) 30 წლის უდო გელხაუზენმა დაამყარა — 20 მ. 13 სმ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მას წლეულს განზრახული ჰქონდა სპორტისთვის თავი დაენებებია. როგორც ჩანს გელხაუზენი თავის განზრახვას დროებით გადასდებს.




საყვარელი გუნდის თუ სპორტსმენის გამარჯვებით მოგვრილმა სიხარულმა საზღვარი არ იცის. მას შეუძლია დარბაისელი გულშემატკივარი აღტაცებულ მოზარდად აქციოს, აყვიროს, გვერდზე მჯდომი უცნობი გულიანად გადააკოცნინოს ან გამარჯვებული ფალავანი ბავშვივით აატაცებინოს ხელში... მას შეუძლია ბავშვებს წუთით დაავიწყოს სიცელქე, როდესაც სარბიელზე დაძაბული სიტუაციაა. ამ ყმაწვილებსაც მათთვის უჩვეულო სიდარბაისლე აღბეჭდვიათ სახეზე, მაგრამ მალე ალბათ (თუ მათმა ფალავანმა გაიმარჯვა) ჟივილ-ხივილით აავსებენ დარბაზს. მოჭადრაკეებს უფრო „წყნარი" გულშემატკივრები ჰყავთ, ხშირად მათ ემოციებს მხოლოდ მრავლისმეტყველი მიმიკით თუ მიხვდებით.

# დრაჟენ პეტროვიჩი საუკეთესოა

**იტალიური** გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი" და კალათბურთის სპეციალური ჟურნალი „გიგანტი დელ ბასკეტი" ყოველწლიურად ასახელებენ ევროპის საუკეთესო კალათბურთელს. თუ წინა წლებში ამ ორი გამოცემის აზრი აღნიშნულ საკითხზე ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ამჯერად ისინი „შეთანხმდნენ". ორივემ ერთსულოვნად მიაკუთვნა პირველი და მეორე ადგილი დრაჟენ პეტროვიჩს და არვიდას საბონისს და ეს შემთხვევით არ მომხდარა. ეს ორი კალათბურთელი დღეს ევროპაში უძლიერესია.

„გაძეტა დელო სპორტის" გამოკითხვის თანახმად, პირველ ადგილზე (142 ხმით) გავიდა დრაჟენ პეტროვიჩი. 102 ხმა მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა არვიდას საბონისმა. მესამე ადგილი წილად ხვდა ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ცენტრალურ თავდამსხმელს ფერნანდო მარტინს (29), რომელიც წლეულს, როგორც ვიუწყებოდით, პროფესიონალებში გადავიდა, მეოთხეა ბერძენი გალისი (24), მეხუთე — ვ. ტიხონენკო (22).

„გიგანტი დელ ბასკეტის" გამოკითხვის შედეგები ასეთი იყო: 1. დრაჟენ პეტროვიჩი (198 ხმა), 2. არვიდას საბონისი (144), 3. ვალერი ტიხონენკო (74), 4. ნიკოლა გალისი (70), 5. ფერნანდო მარტინი (38). რა თქმა უნდა, პეტროვიჩის და საბონისის აღიარება ლოგიკურია და კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ არც ვ. ტიხონენკოს წარმატებაა შემთხვევითი. სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისმა თამაშმა ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. იგი საბჭოთა გუნდის საუკეთესო მოთამაშე იყო. საერთოდ, შარშანდელ სეზონში ტიხონენკომ მკვეთრად გააუმჯობესა თამაში. საბერძნეთის ნაკრების წევრი გალისი მსოფლიოს X ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იყო. მან გუნდს 337 ქულა შესძინა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მის წარმატებას „გიგანტი დელ ბასკეტის" კონკურსში. ფერნანდო მარტინი „რეალის" და ესპანეთის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე იყო.



დასასრულს „გიგანტი დელ ბასკეტის" რეფერენდუმში სხვადასხვა წელს გამარჯვებულები გავიხსენოთ: დრაჟენ დალიპაგიჩი (1977, 1978), დრაჟენ პეტროვიჩი (1985, 1986), დრაგან კიჩანოვიჩი (1981, 1982), დინო მენეგინი (1980, 1983), პიერ ლუიჯი მარზორატი (1976), ვლადიმერ ტკაჩენკო (1979) და არვიდას საბონისი (1984).

**მერაბ კალანდაძე.**

ჩოგბურთი

# უძლიერესთა ათეულები

**მსოფლიოს** უძლიერეს ჩოგბურთელთა სია დღეისათვის ასე გამოიყურება: **ქალები.** 1. ნავრატილოვა, 2. ევერტ-ლოიდი (ორივე — აშშ), 3. გრაფი (გფრ), 4. მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია), 5. შრაივერი (აშშ), 6. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 7. კოდე-კილში (გფრ), 8. რინალდი (აშშ), 9. საბატინი (არგენტინა), 10 მალეევა (ბულგარეთი); **ვაჟები.** 1. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ბეკერი (გფრ), 3. ვილანდერი (შვეცია), 4. ნოა (საფრანგეთი), 5. ედბერგი (შვეცია), 6. ლეკონტი (საფრანგეთი), 7. ნისტრიომი (შვეცია), 8. კონორსი (აშშ), 9. მეჩირი (ჩეხოსლოვაკია), 10. გომესი (ეკვადორი).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06724